

ლიტერატურული მემკვიდრეობა

№5 (233)
მაისი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მთავარი წელი

“LITERTRLI ESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

გეოგრაფიული საქართველოს გამოყვანილობის 100 წლისთავს!

მე პატარა ქართველი ვარ

ლუგა მებრძოლი

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!

ქართლ, კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო;

რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი
და მესხეთი სასახელო;

ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
სვანეთი და აფხაზეთი;

ძველი ტაო, იმერხევი,
საინგილო და ლაზეთი;


მთიულეთი საარაკო
და აჭარის ზღვა და მდელი;
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო!

ქვეყნის თვალი, ეს ქვეყანა
ღვთის-მშობლისა არის წილი;

ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრიც ტკბილი:

ხან თუ მტერი აოხრებდა,
იყო მღვრელი ცრემლის ცხარის;
ბრწყინვალე დროც დასდგომია,
დრო დავითის და თამარის!..

მე პატარა ქართველი ვარ,
სახელოვან ერის შვილი
და მსურს მერგოს სასახელო
მეც სიცოცხლე და სიკვდილი!



ცერომინების: „სწარსულისა“ და „ქართულის“ მნიშვნელობა შოთა რუსთაველის „ვიფხისცხისა“ში

„ესე ამბავი სპარსული“... საყოველთაოდ ცნობილი ეს სტრიქონი, როგორც პოეტი თამარ ერისთავი შენიშნავს, გზის მაჩვენებელი ნიშანს ეკუთვნის დასავლეთის დასავლეთში: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“... ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსე, სპარსული ენისა და ლიტერატურის მცოდნე, მოიხილა „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ფაბულა და აღნიშნა, რომ „სპარსულად ეს ამბავი არსად იპოვება“ ისიც დაასკვნა, რომ რუსთაველმა „ამბავიც თვითონ გააკეთა“ და ლექსადაც თვითონ გარდაქმნა. აკადემიკოს ნიკო მარის გულმოდგინე ძეგლად ვერ აღმოაჩინა სპარსულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი. რუსთაველოლოგებმა მიიჩნიეს, რომ სპარსულად გამოცხადება ჩვეულებრივი ალერგიის ხერხია. უცხო სახელმწიფოებში სამეფოების მიღმა რუსთაველის დროინდელი საქართველო დგას მისი ყოფილი, ფილოსოფიით, ეროვნული ხასიათითა თუ

ტრადიცია-ჩვეულებებით. განსხვავებული აზრი დააფიქსირა ზაურ ბიძინაშვილმა ნიგნში: „სიმართლე რუსთაველისა და თამარ მეფის შესახებ“. ჩემი მიზანია ამ თემის განვრცობა და იმ კუთხიდან წარმოჩენაც, რომელიც ზაურ ბიძინაშვილის ნიგნში არ გვხვდება. ავტორი ავითარებს აზრს, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის ეპოქის ძველი არ არის, რაშიც მას ვერ დავეთანხმებო, თუმცა, ტერმინ „სპარსული“ განმარტებასთან დაკავშირებით, საერთო აზრი თანხვედრა მისას. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „სპარსული“ და „სპარსული“, სულაც არ არის მაინცა და მაინც ერანული, როგორც ამას რუსთაველოლოგები ფიქრობენ და სპარსი, არა ერთი და ორი ქართული წყაროთი, ნიშნავს წარმართს, არაქრისტიანს. ნათქვამის საილუსტრაციოდ, ავტორს მოჰყავს თვით „ვეფხისტყაოსანი“. აი, რას ეუბნება ტარიელ ნესტან-დარეჯანი თავის საქმროდ

მოყვანილ ხვარაზმსასდის შესახებ: „ეგე, ამბავი არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ (თანამედროვე რუსთაველოლოგ-გამომცემლებმა შეასწორეს 1712 წლის გამოცემაში სტრიქონი, „ეგე ამბავი არ ეგების“ და დაწერეს „ესე ამბავი არ ეგების“, რითაც, ვეთანხმები ზაურ ბიძინაშვილს, რომ დაირღვა პოეტური და გრამატიკული კანონზომიერებანი. 1. პოეტური თვალსაზრისით, „ეგე ამბავი არ ეგების“, არის გ-ზე აგებული ალიტერაცია, რაც, ცხადია, ტაეპს აძლიერებს. 2. გრამატიკული თვალსაზრისით, ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან, „ეს“ არის პირველი პირისა, „ეგ“ არის მეორე პირისა და „იგი“ (ის) არის მესამე პირისა. ვახტანგ მეექვსის გამოცემაში ჩანს, რომ „ეგე“ სავსებით მართებულია, რადგან ნესტანი ეუბნება ტარიელს, „ეგ საქმე“, ე.ი. რაც შენთან ითაობირეს მეფემა და დედოფალმა, თავისი სხვა სამი ვეზირის თანხლებით, სიკეთეს არ მოიტანსო. ამ ტაეპში, „ეს“-ის ჩასმა სავსებით

გაუმართლებელია, რადგან ნესტან-დარეჯანს ქმედებაში არაფერი ხელი არ უძევს. ტაეპი „ეგე ამბავი არ ეგების“, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“, გ-სა და ს-ს ალიტერაციაზე აგებულ დიდებულ პოეზიას იძლევა და აქ გრამატიკის ჩარევა საჭირო არ არის, მიიუქმეტეს, რომ არც გრამატიკით მართლდება აქ რაიმეს შეცვლა“ (ზ. ბიძინაშვილი) ალბათ, საჭიროა, შევნიშნოთ, რომ „რუსთაველის ეპოქაში ხორეზმი (ცენტრით დღევანდელი უზბეკეთი, მისი ერთ-ერთი რეგიონი ხორეზმი) და ინდოეთი ერთი დიდი რეგიონის ქვეყნები იყვნენ. ხორეზმის მზარდი მადაკი ცნობილი გახლდათ. თამარის მეფობის ბოლო წლებში და ლაშას მეფობის დასაწყისში ხორეზმის სახელმწიფოში შედიოდა, დღევანდელი პოლიტიკური გეოგრაფიით რომ ვიმსჯელოთ, უზბეკეთის ერთ-ერთი რეგიონის – ხორეზმისა და უზბეკეთის გარდა სამხრეთი ყაზახეთი, თურქმენეთი, ავღანეთის დიდი ნაწილი, ირანის უდიდესი ნაწილი (მათ შორის

ირანი, ანუ სამხრეთ აზერბაიჯანი) და სხვა ტერიტორიები (ხორეზმ-შაჰ მუჰამედ II-ს უნდოდა ბაღდადის დაპყრობა და თავისი თავის მამულისა და სულიერ ლიდერად გამოცხადება, მაგრამ გზად ბუნებრივმა კატაკლიზმმა შეუშალა ხელი). მუჰამედ II ხორეზმ-შაჰი თავს მაჰმადიანების უმთავრეს პოლიტიკურ ლიდერად მიიჩნევდა და სხვებისგანაც ითხოვდა ამის აღიარებას. ამგვარად, ხორეზმი ფაქტურად მეზობელი იყო ინდოეთის (ასევე საქართველოსი) და საფრთხე მომდინარეობდა მისგან. სხვათა შორის, თამარის მეფობის ბოლო წლებში, ინდოეთში მაჰმადიანები შეიჭრნენ და დაიმორჩილეს მისი ნაწილები. დელიში გაბატონდა თურქული მოდგმის მაჰმადიანური დინასტია. ასე რომ, ინდოეთს ჰქონდა ეს პრობლემა. როგორც ჩანს, ეს ვითარება გამოყენებული აქვს რუსთაველს (ამასაც გულისხმობს ტარიელი) – როდესაც

განიკ კიკელიძე

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. NN 3-4)

სალამოს, ბინდთან ერთად, სიცივეც მოლონიერდა, ლუმელის ტკრიციალს ფასი დაედო და მთელი ოჯახი ირგვლივ შემოუსხდა. არც დიდები და არც მცირედნი ხმას არ იღებდნენ, როგორც კარგ ორატორს, ცეცხლს მიყურადებულ-ლიყვნენ და ქურის კარის ნასვრეტებში გამოსულ ალის ენებს მოჯადოებულვით დასცქეროდნენ.

– ნუცა! – ეზოდან დაიღრიალა ვილაცამ, – აქ არის ნუცა?!

– რა ვქნათ? ოთარია, – შესაძახა თეკლემ. ლევანმა მხრები აიჩეჩა:

– რა გითხრა? – დაბნულმა უპასუხა. თეკლემ სარკმელი გამოალო:

– ვინ არის?

– ოთარი ვარ, ალიბეგაშვილი, – სასმელით გაბუფბუფებული მამაკაცის ხმა გაისმა.

– რა გინდა, ოთარ?

– ნუცასთან მაქვს საქმე, კარი გამოღეთ, – არეული ნაბიჯით კიბისკენ წავიდა მილიციელი.

– ვაიმე! – თეკლემ თავი შემოყო, – როგორ მოვიქცეთ? – იკითხა შეშინებულმა. ლევანმა ხელი ხელს ჩამოკრა:

– არაკაცები! – ღვარძლმორეულმა ჩაილაპარაკა, – გააღე კარი! – ახედა მეუღლეს. სანამ თეკლე დერეფანში გავიდოდა, კარებზე ჩექმის დაბრაგუნების ხმა გაისმა:

– არ მიშვებთ?!

– ახლავე, ახლავე, – თეკლე სირბილით მივარდა, ურდული გასწია და კარი გამოალო. ოთარს შოთა ახლდა, ორივენი საკმაოდ მთვრალეები იყვნენ.

– ნუცა აქ არის? – ბარბაცებდა ოთარი, – თუმცა, სხვაგან სად ჯანდაბაში წავიდოდა? – ჩაიქირქილა და შოთას მასპინძელივით გზა დაუთმო.

– აუჰ, როგორ ცხელა, – ხმა-მაღლა ჩაილაპარაკა, – გაიხადე, – უთხრა და მეგობარს გადახედა.

– არ მინდა, – გუდანური გაისწორა შოთამ. ოთარმა ნაზადი მხრებიდან გადაიძრო და იქვე მიაგდო. მილიციელები ოთარში შევიდნენ. გაშუშებული თეკლე ზღურბლთან გაჩერდა, სახეზე ხელი აიფარა და ამოიხრა. აბუჩმა სტუმრებმა ნებადაურთველად სკამები მოიწიეს და ჩამოსხდნენ.

– ბავშვები ოთახებში, ძილის დრო! – ჰაერში აღმართული თითი გაიქნია ოთარმა, – ჩქარა! – შოთამ მხარი აუბა. თამარის გარდა, ყველა პატარამ სანოლებს მიაშურა, თეკლე მათ გაჰყვა.

– შენ, გოგო, არ გესმის?! – მღვრიე, უსიცოცხლო თვალებით შეაცქერდა ოთარი. – დედასთან მინდა, არსადაც არ წავალ, – ქალიშვილი მშობელს ჩაეკრა.

– უყურე ამას! – ბავშვისკენ გაიწია შოთამ, მაგრამ ლევანი გადაელობა.

– თქვით, რა საქმე გაქვთ, – ზიზილით გადახედა ორივეს.

– ეს ვისი ტიკიტომარაა? – შოთას სახე აელენა, ტუჩები მოებრიცა, – რა გაკუჭებული ხარ, რამე ხომ არ გეშლება?! – მასპინძელს აეფხორა, – ცუდად ხარ ატროკებული! – მხარზე ხელი წაავლო და გვერდით გასწია. ხმაურზე თეკლემ ბავშვებს თავი ანება და ქმარს მხარში ამოუდგა:

– რა გინდათ, აღარ იტყვიან?! – დღეს, მე და ოთარმა, ეს ქალბატონი, ქონების ჩამორთმევასა და ბავშვებთანად გადასახლებას გადავარჩინეთ, – სიამაყით აუწყა შოთამ, – მე ნუცას ბავშვობიდან ვიცნობ და შევიბრალებ... – მოიცა, მოიცა, – გააწყვეტი-ნა ოთარმა, – რა დროს შებრალე-ბაა?! ეს ქალი ჩემი უნდა გახდეს, არადა გადასახლება არ ასცდება. მაგისი ქმარი ქვეყნის მოლაღატე და მავნებელი იყო, ამიტომ მისი

ოჯახის წევრები ჩვენი მტრები არიან... – ხმა გაიკმინდა, რას კნაპავთ ამ ქალს?! – ველარ მოითმინა ლევანმა და ოთარს მივარდა, – გაეთრიეთ ჩემი სახლიდან, ნაძირლებო, მტრები და მოლაღატეები თქვენ ხართ!

შოთა მასპინძელს გვერდიდან ეტგერა და რევოლვერის ტარი თავში რამდენჯერმე გამეტებით ჩასცხო. ლევანს თავს რეტი დაესხა, გონება დაკარგა და იატაკზე გაიშხლართა. კეფიდან სისხლი მადრევიანივით ასხამდა. ნუცას რეაქცია არაფერზე აღარ ჰქონდა, თამარი მიეხუტებინა და ცოცხალი ლემივით სკამს შეზრდილიყო. თეკლემ იკივლა:

– მიშველეთ, ხალხო, მიშველეთ! – მეუღლესთან მიიბრინა, ჩაიშხლდა და თავზე წინსაფრის კალთა დაადო.

– ნადი, შენი! – გამეხებულმა დაიხავლა ოთარმა და დიასახლისის მთელი ძალით ხელუკუღმაცაში ამოარტყა. თეკლე გონება-მიხდილი ქმარს ზედ გადაემხო.

– ნუცა, ხომ ხედავ, შენი გულისთვის რა ხდება, – სკამზე ავთანდილის ჩექმამორგებულ-ლი ფეხი ჩამოდო და უსაზნოდ მჯდარ ქალს შეაჩერდა.

– ჰა? – თითქოს მძინარე გამოალვიძესო, ნუცა ახლად მოვიდა აზრზე. შეშინებული უფროსი ქალიშვილი მშობელს მთელი თავისი არსებით შენებებოდა და გულამოსკენით ტიროდა.

– შენ არ გესმის, რა ხდება? – გაკვირვებულმა იკითხა შოთამ. ქალმა ოთარს თვალი მოაჭარა:

– რა მოხდა? – იატაკზე დაყრილი ცოლ-ქმრის შემხედვარე იხე იკითხა, თითქოს იქ არ იმყოფებოდა და ოთახში იმ წამს იყო შესული, შემდეგ ყურადღება მოზღუქუნე თამარზე გადაიტანა, – დედიკო, რატომ ტირიხარ? დამშვიდდი, ნურაფრის გეშინია, – თავზე ხელი გადაუსვა.

– ქალო, შენ არ გესმის, რომ გადასახლებას გადავარჩინეთ? – ნამოენთო შოთა.

– არ გამიგია, – მიამიტურად წარმოთქვა ნუცამ. გაკვირვებულმა ოთარმა სკამიდან ფეხი ჩამოადგა, ნუცასკენ ნაბიჯის გადადგმა დააპირა, მაგრამ გონზე მოსულმა ლევანმა ფეხი გაკრა და გალექილ მამაკაცს წონასწორობა დააკარგინა, ძირს დასცა. უნდოდა წამოდგომა და ზემოდან მოქცევა, მაგრამ შოთამ ამჯერადაც იმარჯვა, მარცხენა ხელით თამაში სწვდა და მარჯვენაში დახელე-ბული რევოლვერის ლულა პირში ჩათხარა:

– გაგაფრთხოხონებ სულს, შე ბედშავო! და... სასხლეტი გადმოსწია. ნუცა გააფრთხული წამოფრინდა:

– შოთა, არ ესროლო, გემუ-დარები, არ ესროლო! – შეევედრა მამაკაცს. მილიციელმა ოჯახის უფროსს თავი ანება:

– აქედან ყველანი გაეთრიონ, შენთან სალაპარაკო გვაქვს! – განკარგულეა გასცა და სკამზე ჩამოჯდა. ეზოდან ცხენის ხვიჩინი და ფლოქვების რახარუხი გაისმა.

– თეთრო, – თავისდაუნებურად წამოიძახა თამარმა. ოთარსაც ეგ უნდოდა:

– გოგო, ჩადი, რამე აჭამე, თორემ შიმშილისგან ძლივსა ბარბაცებს. რასაც არ მივცემ, არაფერს ეკარება. თამარი თმბაშლილ, სახედაღმანჭულ მამაკაცს სიძულ-ვილით შეაცქერდა. თეთროს ხმა ისევ გაისმა. გოგონა წამოდგა, გულამოვარდნილმა ერთი დაიზ-მუქუნა და ოთახიდან გავიდა.

– წყალიც ჩააცეცხლე! – სიტყ-ვა დაანია ოთარმა და ნუცას მიუბ-რუნდა, – ქალო, ჩემთან ვალში ხარ. რომ არ მომწონდ, ახლა შენი წინილებიანად ციმბირის გზაზე იქნებოდი გაყენებული... – მერე, რა გინდა?

– შენ მინდებარ, დედაკაცო,

იფანტა, იატაკის მშრალ ფიცარს ნამებში ცეცხლი მოედო.

– ბავშვებს მიხედეთ! – დაიყვი-რა ლევანმა, რომლისთვისაც ხელ-ფეხი გაეყოჭათ და გამეტებით ურტყამდნენ.

– შოთა, ეს ჩათლახი წამოათ-რიე! – წამოდგა ოთარი და ლე-ვანის ხელზე გადახლართულ თოკს ჩააფრინდა. შოთამ წვივში წაავლო ხელი. ლევანი ჰაერში ისე აიტაცეს, როგორც ნანადი-რევი ცხოველი. ოთარმა დერეფ-ნის კუთხეში მიგდებული ნაზადი გზად გაიყოლა და ბინიდან გა-ვიდნენ. ოჯახის უფროსი შოთას ცხენზე ტომარასავით გადაკიდეს და ორლობეს შეუყვნენ. სახლს ცეცხლი თვალისდახამხამებაში მოედო. ქალებმა ბავშვების ეზო-

სადაც მიიპარებოდნენ.

– რა ვქნათ? – ბინაში შესე-ლისას იკითხა თეკლემ. ნუცას გაეღმა, ალბათ იმისგან, რომ გო-ნებაში გამოსავალს მიაგნო:

– ჯერ ცეცხლი დავანოთ, სახლი გავათბოთ, შემდეგ ბავშ-ვები დავაძინოთ, დანარჩენს მერე გეტყვი, – ლუმელთან ჩაიცუცქა და შუბის შეწყობას შეუდგა. რო-დესაც ოთახებში სიცივემ უკან დაიხია, ქალებმა ბავშვები დაანვი-ნეს. ნუცამ თეკლეს თავით ანიშნა და ლუმელთან მიბრუნდნენ.

– პირველ რიგში ლევანი და-ვიხსნათ.

– როგორ? – იკითხა მულმა.

– რამდენიმე ოქროს თუმნიანი მაქვს, დილასვე მილიციის უფ-როსთან მივალ და სანაცვლოდ შევთავაზებ.

– მერე, აიღებს?

– ამ საცოდავ ქვეყანას მათ-ხოვრები განაგებენ, სადაც ყვე-ლაფერი იყიდება. ლევანს აუცი-ლებლად დავიხსნი, – ნუცამ ისე-თი დარწმუნებით ჩაილაპარაკა, რომ თეკლემ შვებით ამოისუნთ-ქა.

– ოთარს რა ვუყოთ? – სხვა-თაშორის იკითხა თეკლემ.

ნუცას სახეზე გულღვარძლი-ანი გამომეტყველება დაღვივით დააჯდა:

– ეგვეც მოვიფიქრე, – უპასუ-ხა და უადგილო სიცილი აუტყდა.

– რა თქვი? – ვერ გაერკვა თეკლე.

– ამ საქმეს მე მოვავგარებ.

– როგორ? – ქალს აღარაფე-რი უპასუხია, სკამის საზურგეს მიყრდნობოდა და თავს უაზროდ აკატუნებდა. – როგორ? – ახლა უკვე შემცბარმა იკითხა თეკლემ.

– ცხოვრებით აქ იცხოვრეთ, – ნუცამ სასაუბრო თემა შეცვა-ლა. ლუმელს მიუახლოვდა, კარი გამოსწია, ნაკვერჩხალი გაშალა და შემა შეაწყო. ნაღველში გახ-ვეულ ქალებს ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ, თავს ისე და-ათენდათ, რომ არა ბავშვები, ასე კარგა ხანს ისხდებოდნენ. ნუცამ ცხვირსახოცში გახვეული თუმნი-ანები გამოიტანა:

– შვიდი ცალიდა დარჩენილა.

– აიღებს? – ათრთოლებული ხმით იკითხა თეკლემ.

– მათხოვარი ყველგან და ყო-ველთვის მათხოვრად რჩება, ისე იყიდი, როგორც გიქოს მანონს. პალტო ჩაიცვა, თავშალი მოიხ-ვია. – შენ ბავშვებს რამე აჭამე, მე მალე მოვბრუნდები. ბინიდან გავიდა. რამდენიმე წუთში მილი-ციის შენობას მიადგა, საქმიანი ნაბიჯით კიბეს აუყვა და უფრო-სის კარზე დააკაკუნა.

– შემოდი! – ანზორის მკვახე ხმა შემოესმა. ქალმა კარი შეაღო და შეაბიჯა. მამაკაცს უძილო-ბისგან სახე გასიებოდა, ტუჩებს საზიზრად ანკლაპუნებდა და ნუცას ჩანთილებული თვალებით შესცქეროდა.

– რაზე შეწუხებულხარ? – მკვახედ გახედა მოსულს. ნუცამ სკამი მოიწია და ჩამოჯდა:

– გუშინ ოთარმა და შოთამ ჩემი მულის ქმარი აქ მოიყვანეს... – მაგ მავნებელს საკადრის პა-სუსს მოვთხოვთ! – გააწყვეტინა ანზორმა.

– აი, ეს თქვენ, – ქალმა შვი-დივე თუმნიანი ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე ცხვირწინ მიუყარა. – გაათავისუფლეთ ლევანი! ან-ზორმა ტუჩები ისევ განკლაპუნა, ენა ისე მიუსვ-მოუსვა, როგორც შიმშილისგან დაოსებულმა პუ-რის დანახვისას, თვალები ისე გა-უფართოვდა, რომ ბუდემი აღარ ეტყოდა:

– ამჯერად ვაპატიებ, მაგრამ რამე თუ კიდევ შეეშალა, სიკვდი-ლი არ აცდება, – ოქროს მონეტე-რი სათითაოდ აკრიფა და ჯიბეში ჩაიჩხრიალა. სკამიდან წამოდგა, კარი გამოალო: – მორიგეც, გუშინ რომ მოათრიეს, ბროკილები ახ-სენი და ოთახ-

თეთრო

ვუპლენი საბჭოეთის პერიოდში ზვარაკად შენირული, უდანაშაულო ხალხის ხსოვნას



მა. ლევანმა ველარ მოითმინა, ხელდახელ წამოიჭრა და მილი-ციელს მუშტი უთავაზა. ორი მომ-ხდური მასპინძელს ისე აეზილა, როგორც ტალახი – ფეხსაცმელს. გინება, ყვირილი და ცემა-ტყეპის ხმები ერთმანეთში არეულიყო და ლევანის ღირსებას ისე თელავდა, როგორც ჩექმის ქუსლი ქორფა ბა-ლახს. მამაკაცს რაც შეეძლო თავს იცავდა, წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ გამეტებულ მოძალა-დეებს რას აუფიქროდა. ნუცას და თეკლეს კვილი არავის ესმოდა. იატაკზე მოგორავე მამაკაცები ხან რას და ხანაც რას ეჯახებოდ-ნენ, ბოლოს ლუმელსაც შეასკდ-ნენ, გადააბრუნეს. გაღვარღვარე-ბული ნაკვერჩხალი ოთახში მიმო-

ში გამოყვანა ძლივს მოასწრეს და შემზარავ სურათს ჭიშკართან ატუზულეები შეაცქერდნენ. აქეთ-იქიდან ცნობისმოყვარე მეზობ-ლები შეიკრიბნენ და... ყველას თვალწინ, სახლის სახურავი, რი-ხინ-რიხინით დაუნდობელ ალში ჩანდა. თამარს თხები ბოსლიდან გამოყვანა და მშობელს გვერდში ამოადგომოდა:

– სახლში წავიდეთ, დედიკო, სახლში წავიდეთ, – აკანკალებუ-ლი ხმით შევედრა.

– რაა? – ქალიშვილის მუდა-რამ ნუცა აზრზე მოიყვანა.

– ჰო, დედიკო, წავიდეთ სახლ-ში, – თეკლეს ხელი მოხვია, ვაჟი-ვილი მიიკრა და სუყველანი ეზო-დან ისე ჩუმად გავიდნენ, თითქოს

– აი, ეს თქვენ, – ქალმა შვი-დივე თუმნიანი ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე ცხვირწინ მიუყარა. – გაათავისუფლეთ ლევანი! ან-ზორმა ტუჩები ისევ განკლაპუნა, ენა ისე მიუსვ-მოუსვა, როგორც შიმშილისგან დაოსებულმა პუ-რის დანახვისას, თვალები ისე გა-უფართოვდა, რომ ბუდემი აღარ ეტყოდა:

– ამჯერად ვაპატიებ, მაგრამ რამე თუ კიდევ შეეშალა, სიკვდი-ლი არ აცდება, – ოქროს მონეტე-რი სათითაოდ აკრიფა და ჯიბეში ჩაიჩხრიალა. სკამიდან წამოდგა, კარი გამოალო: – მორიგეც, გუშინ რომ მოათრიეს, ბროკილები ახ-სენი და ოთახ-



ავთანდილ ბერიძე მე სამცხე მტკივა

მე სამცხე მტკივა,
ჩემი ტაო,
ჩემი შავშეთი,
მე არტანუჯის სანახები
მტკივა და მტკივა,
დღეს ნაქცევული საქართველოს
ტკივილით ვცხოვრობ,
უიმედობის მოლოდინშიც
არავინ მკილავეს.

დასაბამიდან
ასე მოველ, —
სისხლი მრავალი
სად არ მიღვრია ჩემი მინის
გადასარჩენად.
თუმც ვაჟკაცობა,
მკლავის ძალა, არასდროს მაკლდა,
მიტომ არაფრით შემიძლია
ასე დარჩენა.

მე ნაქცევულიც,
მომაკვდავიც,
ბევრჯერ მიხილეს,
ბრძოლის ველიდან გაქცეული კი —
არასოდეს,
თურქის, არაბის
ხელით მწარედ სისხლი მადინეს,
მამულესაც ჩალმა არაერთხელ
თავზე დამხურეს.

წამებით ვთესე
წინაპართა ნაპოხ მინაზე,
ცრემლით და სისხლით
მიზიდია ეს მიმიე
ჯვარი,
რომ ჩემი მინის —
ქართველობის გადასარჩენად
სკერდით დამეცვა
საქართველო დასაფიცარი!

თმოგვის რხე

ეს თმოგვია, —
თმოგვის ციხე,
ქაჯებისგან დანგრეული,
ციხე ზღაპრულ ქალაქისა
ცად აწვდილი,
მთვარეული.

მტკვარს რომ რიხით გადაჰყურებს,
წარსულ დღეთა გახსენებით
არემარეს რომ აყრუებს...

რკინის გული უნდა გქონდეს,
რომ დაივლი მის სანახებს,
თუ არ გჯერა,
აბა, ცაღე,
მოდი აქ და თავად ნახე!

ტირილი მინდა
და ვერ ვტირივარ,
შურისძიების
ძალაც არ მყოფნის...
თავს რად გვახსენებს
ასე ხშირ-ხშირად,
იქით გარნისი,
აქეთ მარტყოფი!..

გული არ გქონია,
ვგრძნობდი,
რატომ მომიმატე დარდი,
მე აქ შევეჩვიე ლოდინს, —
დრო კი უმოწყალოდ გადის.

თავზე კაეშანი მადგას,
თითქოს იხურება ფარდა,
აქეთ არაფერი მრჩება,
შენი სიყვარულის გარდა.

ლმერთო, შეილთა სიმრავლით
ატრიაბახე ქართველი,
ოდეს რანი ვიყავით,
დღეს კი დავრჩით რამდენი...
ალარა ჰყავს ქვეყანას
რუსთაველის გამზრდელი.

დრო რა ჩქარა გავიდა,
ჩვენც დავბერდით მგონია,
ამ ცხოვრებას რამდენი
საიდუმლო ჰქონია.

ვიზრდებით და გადადის
ანმყო მოგონებაში,
ყველაფერი ყოფილა
აზარტული თამაში.

ხეს ფოთლები დასცივია,
დაიცლება განჯინაც,
ეს ცხოვრება ლამაზი
გაფრინდება ფანჯრიდან.

მე ძველ მინაზე ისევ
მიხმობს სისხლის ყივილი,
სადაც
ქართველთა არ გამქრალა
ჯიში და გენი.

მტერი ბევრი გყავს,
მოყვარე ცოტა,
რამდენი ახლა
დღეს შენ წინ ცოდავს.

წელი წელს მისდევს,
ბერდები შენაც,
თითქოს გაგნირა
ბერმაც და ერმაც.

ბევრმა გინებით
შეგამკო, რათა,
მერე ცხოვრება
მოენყოთ ათად.

შენ მათ იმედად
როდესაც დარჩი,
მაშინ მოგეშვა
იმედის ქანჩი.

შენი სახელი
ჭირდებათ, თორემ,
არვინ გამართავს
დღეს შენთვის ომებს.

დედულ-მამული
ვისაც კი უყვარს,
მათ დაატეხენ
ვაის და ურვას.

ათასი მტერი
გარს გერტყა როცა,
ვიდექით შენთან
ლაღადად, ლოცვად.

იმედით მაინც
ვცოცხლობდით ხვალის,
შიშით არ გვკონდა
მაინც ჩვენ არვის.

ლმერთის იმედით
ვიკრებდით ძალას,
არვის ვუხდიდით
შიშითაც ღალას.

ახლა კი, ახლა,
ძალაც არ შეგვწევს
მამულს დავეუდგეთ
მსხნელად და შემწედ.

ნეტავი ასე რომ იყოს

რამდენი მტერი გყოლია, —
გამყიდველი და ორგული,
განა უცხოთა ტომიდან
ვაჟკაცთა მძლევი ლომგულნი?..

ნეტავი ასე რომ იყოს
მტერი ვერარას გიზამდა,
რას დაგაკლებდა მომხედური,
შემოხიზნება ხიზანთა...

ჩემმა სისხლბორცთა სილაჩრემ
ჭკუაც წამართვა, ძალიცა,
ვაჟკაცთა დადედლებითა
ჯანიც გამიცვდა, ხმალიცა.

ერთი შადიმანი გვყავდა,
ახლა რამდენს უბარტყია,
საქართველოს სიძულვილით
მტერი გარს რომ შემორტყმია...

ერთზე ათი მოდიოდა, —
ლელო როგორ გავიტანეთ,
საქართველოს სიყვარული
წარსულს როგორ გავატანეთ.

ლმერთი ყველამ დაივინა, —
მოგვიმრავლა ეშმა, ფლიდი,
ხოტბას გვასხამს უცხოელი,
საქართველოს როცა ვყიდით.

ვაი, ჩვენი თავის ბრალი, —
დღეს დუმილი აღარ კმარა,
საქართველო ბენვის ხიღზე
როცა გადის წარამარა!

ავდარს დარენი ისევ შერვლიან

(უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს,
რომლებმაც ენაც დაკარგეს და სა-
ქართველოში დაბრუნების
სურვილიც)

თუ დაივინე ენა ქართული,
მშობლიურ ფესვებს მოწყდი
მარადის,
მთელი ცხოვრება გაიტანე,
ვერ მოისვენებ კუბოს კარამდის.
აქ მშობლიური მინა გეძახის, —



უცხო რომ ფულით ეპატრონება,
აქ სხვა ილაღებს, გაიპარაშებს,
შენი გენი კი სხვას ემონება.

ვინც სისხლი ღვარა,
ქედს არ იხრიდა,
ქართველობისთვის ვინაც ენამა,
რა უნდა იყოს ამაზე ტკიბილი,
ვერ დაიტოოს ქართულ მინამა.

ბევრი უნახავს ქართველს
მომხედური,
ცრემლ-სისხლით მინა გაუპოხია,
არ შედრეკილა მტრების წინაშე
და არც მინაზე არ უფორთხია.

სხვისი ნაფურთხი არ ულოკია,
რწმენა, იმედი არ დაუკარგავს,
თავისი სარჩო თავად მოჰყავდა,
არვის უთმობდა სახნავს
და სამკალს.

ყველგან აშენა ციხე და კოშკი,
თავად მოხატა წმინდა ტაძრები,
თქვენისთანები რომ ყოფილიყვნენ,
იმ დროებაში რამდენს
გავძლებდით?

გაჭირვებაში ვინ არ ყოფილა,
დრო იყო, ლუკმაც არა ჰქონიათ,
მაგრამ მუცლისთვის ქართველი
კაცი
უცხოთა არასდროს დაუმონია.

დრო მოვა, ჩემი დედულ-მამული,
ლაზარესავით ისევ აღდგება,
მის თავზე ლევა შავი ღრუბლები
დასალიერში გაიფანტება.

გაზაფხულს ისევ გაიყვავილებს,
ხევებს დაფარავს ნაკადულები,
სამშობლოსათვის აფეთქდებიან
აქ დარჩენილი წრფელი გულები.

ავდარს დარენი ისევ შეცვლიან,
ისევ დარეკენ ქართლის ზარები
და არასოდეს გაიხსნებიან
დღევანდელობის ნაიარები.

ზარზმა

ზარზმა,
ზარზმა,
ხელთუქმნელი
ტაძარი ხარ ღვთიური,
ზეცაში რომ გაგიშლია
მხრები მარადიული.
ლმერთთანაც ხომ ახლოსა ხარ, —
პირჯვარს დაგწერს იესო,
ამყად რომ გადაჰყურებ
ველ-მინდვრებს და მთიებსო.
ლმერთის ნებით ჩუქურთმები
მარგალიტად გასხია,
შენი ღიდი მოიმედე

დღეს ბებერი სამცხეა.
შენ აქ რწმენას უბრუნებდი
ქართველს, როცა სისხლს ღვრიდა,
შენი წმინდა სალოცავი
დღეს მზესავით გაბრწყინდა.

აქ ერთ დროს მინას ხნავდა
ბადილა,
ცალუღელ ხარით,
თავის ჯალაბით,
არც პური ჰქონდა, ალბათ,
სადილად,
არვინ უხდიდა გლეხკაცს
ჯამაგირს.

ქედს არ იხრიდა, შრომა უყვარდა,
სამშობლოს ედგა ერთგულ
დარაჯად,
გოჯი მინისთვის თავს განირავდა, —
არ გაუხდია ტანზე ფარავა.

დილა მგელს როგორ შეუჭამია, —
სიზმრად დაგეძებ
თვალისციცებით,
აღარ თენდება,
აღარ თენდება,
ამ კოშმარს როგორ გამოვექცევი.

აქ ეს ცა უფრო ლამაზია,
ეს მთაც, ეს ბარიც,
აი, ეს მცირე ნაკადულიც
ჩემთვის დიდია,
მთელი მსოფლიოს სიმდიდრეც
რომ შემომაჩქრონ,
რა ვქნა, სიზმარშიც არასოდეს
გამიყიდა.

ეს ის მინაა
ჩემი პაპის პაპა რომ ხნავდა,
სისხლით და ოფლით ვინაც
რწყავდა ბაღსა და ვენახს,
ეს ის მინაა ათასჯერ რომ
გადამიბუგეს,
მინა, რომელიც გადაურჩა
მტერს შმაგს და ვერავს.

ვაი რომ იგი ბევრისათვის
არაფერია,
მინა-მარჩენალს დასდებია დღეს
ჩალის ფასი,

სულ რომ ინვიმოს

სულ რომ ინვიმოს,
ჭექა-ქუხილმა
შეაზანზაროს დედამინა,
შიში და ძრწოლა
მოუტანოს ადამიანებს,
ვერავინ შეცვლის კანონს
ბუნების —
მზე გამოვა და
გამოიდარებს...



ეს ციხეა ქაჯეთისა
მომხედურთ სულის ამომხედელი,
ათასი გზით მიმავალი
ციცაბოზე კიბე-ხვრელით.

ეს თმოგვია,
თმოგვის ციხე,

შენ გერგო მინა,
სანახები,
ზღვაც,
ოკეანეც,
მე კი აქ მთებში შეხიზნული
თავს ვირჩენ ჩემით,

კაკა კვანტალიანი

ეპოქას პიროვნებები ქმნიან. ეპოქალური ადამიანები კი იშვიათად იბადებიან და მთელ სამყაროს მოიცავენ საკუთარ თავში მსოფლიოს მიკრო და მაკრო კოსმიური მანქანით, სხვათადასრულად აღიქვამენ მოვლენებს ცხოვრების შინაგანი ნვით, თუ შემოქმედებითი მოღვაწეობით...

დღევანდელ რეალობაში ხდება, როდესაც ადამიანს გინევს მშობლიური ქვეყნიდან წლობით, სხვა, უცხო მინაზე ცხოვრება და რარიგ განცხრობაში არ უნდა იყო მამულის გარეთ, ქართველებს განსაკუთრებით გვახასიათებს ლტოლვა ყოველივე მშობლიური სადმი - გენატრება მამა-პაპისეული მინის სურნელება, სიმღერა, ვალობა, ქართული ლექსი...

მასხოსე შეხვედრა და საჩუქრად პოეტური კრებული - „ლოცვა ლექსებით“, თბილი წარწერით... მერე, ჩემი დაუოკებელი სურვილი, ამ საოცარი ლექსების უცხო ენებზე თარგმნისა, რომ უცხოელი მკითხველისათვის გამეცნო, თუ რა დიდებული პოეზია იქმნება დღეს, ჩვენთან, თანამედროვე საქართველოში...

პოეზია - (ბერძნ. „ექმნი“) პოეტის სულიერი მდგომარეობისა და წარმოსახვის გამოვლინებაა, ხელოვნების ფორმაა, სადაც ენა სამყაროს ესთეტიკური აღქმისათვის გამოიყენება. ძველად პოეტი და ქორუმი სინონიმური ტერმინები იყო, რაც, ფაქტიურად, ერის წინამძღოლსაც, ჭეშმარიტების მაძიებელსაც და წინასწარმეტყველსაც ნიშნავდა და ძველთაგანვე ადამიანებისა და მიღმიერი იდუმალი სამყაროს შუამავალი, ზებუნებრივთან მიახლების გამტარები იყვნენ. მათ ევალებოდათ ასტრონომიის, ფილოსოფიის, მათემატიკისა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნების ზედმინევიტი ცოდნა, გარდა ლიტერატურისა და ისტორიისა.

საქართველოში პოეზია ოდითგანვე ეროვნული მრწამსის გამოხატულება იყო, რომელსაც ქვეყნის ისტორიულ პერიპეტებიდან თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოსთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა. აქ არ შემოვიფარგლებით სპეციფალურად საკითხების მიმოხილვით, მაგრამ უპირინი იქნება აღინიშნოს, რომ ქართული პოეზიის ნიმუშები - ეს პოეტური არტეფაქტებია, რომლებიც სიმბოლურად აირეკლავს ერის იდეალების ნაფიქრ-ნაზარევესა და მისწრაფებებს...

ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობა ორგანულ ნაწილს შეადგენს ქვეყნის სულიერი ფასეულობების თუ მხატვრულ-ესთეტიკურ ფორმულირების ჩამოყალიბებაში და ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ამა თუ იმ დროის ისტორიული სურათის აღსადგენად.

ქართული პოეზია არასოდეს ჩამორჩებოდა ზოგადდ მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ სიახლეთა პროცესებს, თუმცა მასში არ ყოფილა ერთგვარი გადაძვრება სხვადასხვა მიმდინარეობებისა, არამედ ყოველი სიახლე ეროვნულ ქურაში გამოიწროვბოდა და ახალი რიტმულობით თუ რითმებით გამდიდრებული, ჩვენივე ტრადიციების ჭრილში განიხილებოდა და თავის განუყოფელ ხიბლს ინარჩუნებდა ყველა ეპოქაში.

დავინყოთ გენიალური ქართველი პოეტებითა და მოაზროვნეებით - შოთა რუსთაველით და დავით გურამიშვილით. გაიხსენოთ რომანტიკოსები... როგორ შემოიჭრა ევროპეიზმი ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალ.ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და სხვათა შემოქმედებით XIX საუკუნის დასაწყისში... შემდეგ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თერგდალეულთა ბრწყინვალე დასი გამოდის სამწერლო ასპარეზზე შემდეგი მონოდებით - „ჩვენი თავი ჩვენზე გვეყუდნეს!“

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მამულის ჭირ-ვარამის გამზიარებელი - ერის სულიერი მამა და მოძღვარი ილია ჭავჭავაძე, უძვირფასესი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომლის შედეგები ხალხმა დიდი სიყვარულით გაითავისა,

ვაჟა-ფშაველა - ფილოსოფიურად მოაზროვნე, საერთო-საკაცობრიო ჰუმანიზმით, რომელმაც ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა ახალი გმირი „ბუნება მბრძანებელია“ ...

სიმბოლისტთა გავლენით კი XX ს-ის პირველი მეოთხედიდან შეიძლება ითქვას ფრანგული ლექსის წერის სტილი დაამკვიდრეს ცისფერყანწლების ისეთმა კორიფეებმა, როგორებიც იყვნენ - ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, გრ.რობაქიძე, კოლაუ ნადირაძე... გენიალური ვალაკტიონი... ლადო ასათიანმა კი მშობლიური პოეზიის ოქროსმი-

ანობა პატრიოტული მოტივებით გაამდიდრა ...

სწორედ ამ შესანიშნავი პლადის გაგრძელება თანამედროვე ქართული პოეზია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა ოთარაშვილი, რომელიც ი.ჭავჭავაძის, გ. ტაბიძის, ლ. ასათიანის, ქრისტინაული პოეზიის ფესტივალის და სხვა ლიტერატურული პრემიების ლაურეატია.

ვაჟა ოთარაშვილის პიროვნებაზე შეიძლება დაუსრულებლად ვისაუბროთ, როგორც პოეტზე, ისტორიკოსზე, საზოგადო მოღვაწეზე, მის მრავალმხრივ განათლებაზე, მისივე პოეზიის კრებულებზე, სხვადასხვა საინტერესო ჟურნალებზე და ნივნებზე, რომლებიც



წვეულის ბასიდიდები

მისი ავტორობითა და იდეებით გამოიცა: „ხილვადობა“ (1986 წ.), „თოვლისფერი ღამეები“ (1989 წ.), „გველის წელიწადი“ (1990 წ.), „ჩემი გულუბრყვილო ლანდი“ (1992 წ.), „ცრემლები ქარში“ (1999 წ.), „ხეკორძულელის აღსარება“ (2001 წ.), „ცის სარკმელები“ (2003 წ.), „მწუხარე ბედნიერება“ (2006 წ.), „XXI“ (2008 წ.), „ლოცვა ლექსებით“ (2010 წ.), „სამთავისი“ (2010 წ.), „ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში“ (2013 წ.), „კასპის ისტორია“ (2015 წ.), „ცა - ჩვენი სულის მისამართია“ (2015 წ.), მცირე ანთოლოგია „დედა ქართულ პოეზიაში“ (2003-2007 წწ.) და „უახლესი ქართული პოეზიის და პროზის ანთოლოგიები“ (2009-2010 წწ. - სამცხემული) და სხვ.

არის ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი.

საზოგადოება მალე იხილავს ვაჟა ოთარაშვილის მიერ შექმნილ შესანიშნავ ისტორიოგრაფიულ ტრილოგიას „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“. მას 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომა აქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა დარგში, ეს იქნება ისტორიული თუ კიბერნეტიკის კვლევების სფერო, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო ნაშრომი

„სადღა ვამბობ სააკაძე, ქართლის ცეზარ...“ - სადაც ავტორი არქივებზე, ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნათელს ჰფენს ბურუსით მოცულ ისტორიას და იკვთება დიდი ქართველი გმირის, ეროვნული ფენომენის გიორგი სააკაძის პატრიოტიზმის და მოღვაწეობის აპოგეა. ვიმედოვნებთ, მამულისთვის „შვილმწერულ მამაც მემომარს“ ალბათ, ბოლოს და ბოლოს, ღირსეულ პატივს მიაგებს ერი...

ალსანიშნავია ასევე ვაჟა ოთარაშვილის შესანიშნავი საავტორო რეიტინგული ტელეგადაცემათა ციკლი „ლიტერატურა, ხელოვნება, სულიერება“, რომელიც მას მიჰყავს „ობიექტივის“ ეთერში.

საბედნიეროდ წილად მხვდა პატივი, ამ გამორჩეულ შემოქმედთან ერთად ვიყო თანაავტორი ნიგნისა „მერანის მისტერიები“, სადაც ჩვენმა პოეტურმა დუეტმა პოეტური ჰიმნოლოგიით გააცოცხლა ნ.ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის მიმოწერა - „ბარათები ლექსებად“, ტრაგიკული სიყვარულის ისტორია, რაც სიახლეთა როგორც ქართული, ისე მსოფლიო პოეზიისათვის.

ახლა კი ვაჟა ოთარაშვილის სიცოცხლით სავსე, მგრძობიარე, ზოგჯერ ექსცენტრიულ, ამოუნრავი ენერგიით ავსებულ ლექსებზე მინდა ყურადღება გავამახვილო,

რომელშიაც ფეთქავს ძლიერი მუსტი ჭეშმარიტ პოეტისა - სამშობლოს, სიცოცხლის და თვით სიყვარულისათვის... სწორედ ეს შემართება, სიტყვათ ქმნადობის განუსაზღვრელი შესაძლებლობებით ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის შემოქმედებას...

თუმცა ძნელია ისეთი დიდებული კლასიკოსი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის, გამოჩენილი კრიტიკოსისა და პუბლიცისტის აკაკი ბაქრაძის და სხვა ცნობილი მწერლების (დალილა ბედიანიძე, მანანა ჩიტიშვილი, თემურ შველაძე და სხვ.) მიერ ვაჟა ოთარაშვილის შემოქმედებაზე ბრწყინვალე შეფასების მერე, მასზე ისაუბრო, მაგრამ მისი ლექსები საშუალებას გვაძლევს, ყოველი ხელახალი ნაკითხვის შემდეგ სხვა თვალთ

აგრეთვე ცხოვრებისეული მომენტების რეალურად გააზრება და სინამდვილის სინასტიკის ასახვა მოვლენების სიღრმისეული წვდომის უნარითა და ფილოსოფიური აზროვნების მასშტაბური არეალით, ჭეშმარიტების ძიებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის ბუნებრივი ამპლუა - „იმაზე ცოტა მეტი ვართ, შენ რომ გვონია მტერო...“ ამბობს ერთგან პოეტი...

ანდერსონი თავის ნიგნის „ჰემინგუეი“-ს ერთ-ერთ თავში - „გულუბრყვილობის დაკარგვა“ აღწერს (ჰემინგუეის) ლიტერატურული მოღვაწეობისა და ცხოვრებისეულ ასპექტებს, რომელიც მაგონებს ვაჟა ოთარაშვილის ლექსს „ჩემი გულუბრყვილო ლანდი“:

„ქუჩაში დიდხანს სიარული, შუბლზე მიყინული დარდი... სტუმრებთან თითქოს მხიარული ჩემი გულუბრყვილო ლანდი...“

„უფლის გარდა არავის არა ვთხოვდი შენდობას და არ მილაღატია ვარდისფერი ნატურისთვის...“ - წერს იგი ბედისადმი დაუმორჩილებელი მებრძოლი სულსკვეთებით, თუმცა, როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს შეეფერება, მისი ლექსები სულით ხორცამდე რომანტიული ხასიათისაა. პოეტის „მე“ - მიუხედავად უამრავი გადატანილი ქარტხილებისა, წლების შემდეგაც ისეთივე შეუღახავია, როგორც ყრმობაც: „მანც რომანტიკოსი დარჩი მთელი ცხოვრება, გულუბრყვილო სიზმრებით მინიერი დამე...“ - წერს იგი.

ვ.ოთარაშვილის პოეზია რიტმული იმპულსისა და სიტყვათა ნაკადის რთული ბგერითი სიმეტრიის საოცარი ურთიერთშეფარდებაა (მაგ. „თოვლი თეთრონი თრთოლივით

მიჰქროდა...“) მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია ემოციებით დატვირთული ნაზავი, რაც უდიდეს გავლენას ახდენს მკითხველზე:

„ქარი ქრის... დაგლიჯა ღრუბლები... დათეთქვა... დაძინდა... დაფლითა... ო, მერი... მომეცი უფლება, თე ბაგე ვაივსო თაფლითა...“

ავტორი სრულიად ბუნებრივად პოულობს ახალ რითმთა შეთანხმებებს, მაგალითად, როგორიცაა:

„თებერვალს თეთრი ცხენები უყვარს და ენძელების დაქალწულება... მუხლზე ვუსხედით ნამეხარ მუხას, იქ შევისვენეთ დაქანცულებმა...“

იგი არაერთხელ აღინიშნავს, რომ, მისი, როგორც პოეტის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი დედამ შეასრულა, ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო მცოდნემ და მასწავლებელმა.

დედის ფენომენი უმშვენიერესი ხატსახეებით სავსე ლექსებითაა შემკული მის შემოქმედებაში. დედა - ეს ყველასათვის წმინდა და უკვდავი ხატება უღამაზესი შთაგონების წყაროდ აქცია ლექსში „სასწაული“:

„არ გაგჩენილავ ამქვეყნად ჯერაც და დედაჩემი კვლავ ცოცხალია... ამ სასწაულის მე თვითონ მჯერა, მე თვითონ მჯერა, მწინდა მარამ...“

მთრთოლვარე რითმებით დაწერილი სტრიქონები დედაზე, საოცარი სინაზითა და სიყვარულითაა ნასაზრდოები, რაც მომავალი თაობისთვის ნამდვილად მისაბაძი და აქტუალური დღევანდელია, როცა უამრავი ფსევდო-კულტურის მიმდინარეობები იჩენს თავს. ლექსში - „დედა და მტრედი“, სულის შემძვრელი აღევორია:

„ფანჯარაში შემოფრინდა მტრედი თეთრზე-თეთრი ვით ყვავილი ხეთა... იქნებ, შენი სული იყო, დედი, იქნებ, ისე დამიბრუნდა დედა...“

პოეტი უდიდესი მოკრძალებით „ლოცვას ლექსებად“ გულის სიღრმიდან აღუვლენს უფალს, „რომ საქართველოს არ დაეღლიოს ოქროს აკვნები - ბაზილიკები...“ მისი სასულიერო შინაარსის პოეზია განმსჭვალულია ქრისტიანული სულისკვეთებით, ბიბლიური სახეებით, მოტივებით და მსოფლმეგობრებით.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ „ოთხთავი“, ანუ სახარება, რომელსაც ბერძნულად „ევანგელე“ ეწოდება და ქართულად ოთხთავადაც მოვიხსენიებთ. პოეტი შესანიშნავი ოსტატობით აღწერს წმინდა მოციქულთა მიერ დაწერილ ნიგნთა კრებულს:

„ო, უფალო, ჩვენო, კრძალვით გინთებ სანთელს... სახარების ბჭენო -“





იოანე, ლუკა, მარკოზი და მათე...
პოეტი ხან მენამული ფერებით გვიხატავს ღვთისმშობლის მიერ იესო ქრისტეს დატარების გულისგანმგმირავ მომენტებს: „არ მიგატოვებს არასდროს დედა,

არც ჯვარცმულსა და მარტო დარჩენილს...“ ხან ძველ ალთქმისეულ ეპიზოდებს მოკრძალებული პათოსითა და შორსმჭვრეტელური გააზრებით გადმოსცემს („ბერსაზე“):

„უსჯულოების აღზოცვის წადილს ატარებს მოდგმა ადაბის შევითა... იქნება, ღმერთო, ეს ცოდვა-მადლი სოლომონ ბრძენის გაჩენად ღირდა...“

სახარებისეული სახისმეტყველების მომენტები წარმოდგენილია ქრისტიანული ტრადიციების ღრმა გააზრებით, რომელიც შერწყმულია მართლმადიდებლურ მსოფლალქმასთან, თუმცა მისეული განცდებით გადმოცემული, ადამიანური ცოდვებისა და ღვთისაგან კაცთა მოდგმის დაშორების გამო:

„ქრისტე უჭირავს ღვთისმშობელს, სახე აქვს დაღლილი... კაცთ ნაღველს თვალები იშრობენ, ღმერთთა ბაღლივით... ვით უძლებ მაგ ბავშვის სიმძიმეს დედაო მარიამ... ჩვენს ცოდვებს ცრემლებად იმძივებს, ვისაც სწამთ – ნეტარნი არიან...“

პოეტმა იცის, რომ, თუ ბერ-მონაზვნობა ძლიერია, მაშინ ეკლესიაც და ერის ცხოვრებაც ღვთის მადლით ძლიერდება და უფალთან ერთობის სინერგია მთელს ქვე-

„გადაბუჯეს სასაფლაოც, ეკლესიაც... ჩამოიწვრა დედო კოშკიც, გალავანიც... საქართველოს ქართველები შეესივნენ, ვით ალავერდს ურჯულოთა ქარავანი...“

პოეტის აზრით ქართული ტრადიციული ღირებულებები არ უნდა შეიცვალოს... პატრიოტიზმი – ეს მივიწყებული სიტყვა კი არა, პირიქით, ახალი ძალით შემოსილ იდეად უნდა იქცეს ქვეყნის სადარაჯოზე, თორემ თუ მამულზე გული არ შეგტკივა, ადვილად მიატოვებ მას („ჰეი“): „მიდიან ქართველები, აღარ დაედგომებათ!... სამშობლოში სამშობლო, თითქოს ეუცხოებათ...“

„ჩემი ლექსებით შენზედ ვლოცულობ, ჩემო ენა და ჩემო მამული!“ – ლაღადებს პოეტი. სწორედ მან შემოიტანა ქართულ პოეზიაში ახალი ხატსახე – ლოცვა ლექსებით და სიტყვის დიდოსტატი, ლექსში – „ხეკორ-ძულელის აღსარება“, სვეტიცხოველს ავედრებს მშობლად ქვეყანას და ჩანს, დიდ წინაპართა დარად, ხელოვანის თვითმწიფრის მისტერია:

„დაე, მომკეთონ მეორე მკლავიც, ოღონდ ერთობა იყოს ქართველთა... ვერც წინამართან ველარ მომკლავენ თუ საქართველოს სული გამთელდა...“

„ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს...“ – ბრძანებს ილია ჭავჭავაძე. ვაჟა ოთარშვილის პოეზიაში მრავლად შეხვდებით დიდებულ წინაპართა ხობტას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საქართველოს დიდი მხედართმთავრის გიორგი სააკაძისა და მისი ვაჟიშვილის – პაატასადმი მიძღვნილი ლექსები – „დაღამება დიდი მოურავისა“, „დიდი მოურავი“... პოეტი აღწერს

სებურად გადმოსცემს ამ უკვდავ და უკიდევ-განო თემას – რასაც სატრფიალო ლირიკა ეწოდება.

ვაჟა ოთარშვილი თავისი კალმით სულის მოძრაობის ყოველ მოქმედებას საოცარი სილამაზითა და ოსტატობით ასახავს. წერს რაც ჭეშმარიტად მიაჩნია, ნათლად, პირდაპირობით, შესანიშნავი კონტრასტებით, ალეგორიულად და, რაც მთავარია, გულის შეუნიღბავი უბრალოებით („უნდა მენატრებოდე ...“):

„უნდა მენატრებოდე, რომ არ ჩაქრეს კოცონი, სიზმრებს უნდა ველოდო, როგორც ღვთიურ სასწაულს...“

მთელი მისი შემოქმედების სატრფიალო თეორია, მკითხველს სთავაზობს გრძობების სინრფელს, გულიდან აზვირთებული ტალღებით გადმოღვრილ მგზნებარე თავდავიწყებას სიყვარულისთვის და საყვარელი საგნისადმი.

პოეტის ესთეტიკური შეხედულებები, მისი მიჯნურობის კოდექსი თვითმიზნის ფარგლებში კი არ იკეტება, არამედ მგრძობიარედ საუბრობს ლექსებით, მისივე პოეზიის პერსონაჟებზე... ხან გულისტკივილი და უდრტინეველი სევდით, ხან ბედნიერების საოცარი გასხივონებით, მაგრამ ყოველთვის კეთილშობილური ადამიანის მაღალი ღირსებით, სულიერი და ემოციური განცდების „მწუხარე ბედნიერებით“...

„ისეთი გრძობა დამეუფლება, მგონია დარდმა გული გახია... მოთხარით, ნეტა, ცაში ღრუბლები, თოვში ვინმეს თუ ვინაზიათ...“

ზოგჯერ „ტრამალის მეგლივით“ მარტო-სული პოეტი, მგრძობიარედ გულის სატკი-

ვითოეული სტროფი თითქოს ახმინებული ჰაეროვანი ნოტი, ილუსტრაცია იმისა, რომ შეყვარებულთათვის დროსა და სივრცის საზღვარი არ არსებობს რეალობაში და მოქმედებათა თანამიმდევრობა, რომელიც ალვიძებს მკითხველში სურვილს, ჩასწვდის ლექსში მოთხრობილი ამბის მოვლენების სიღრმეებს, ყოველი ახალი ნაკითხვის შემდეგ შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენს მასზე: „მელაპარაკე; დრო და მანძილი ხომ არ არსებობს სიყვარულისთვის...“

მისი პოეტური სიტყვის მაღალმა არტისტიკაში, ღრმა შინაარსმა და ლექსის შინაგანმა მელოდირობამ განაპირობა გამოუთქმელი ემოციის თავისებურად გადმოცემა მეტაფორული აზროვნებით და დახვეწილი ბგერწერით. მაგ. ლექსი – „წერილი“, მდიდარი ორიგინალური მეტაფორებით არის სავსე: „...შენ ერთხელ წვიმამ ისე გაგლუმბა, რომ ჩამოგადაა ყელზე საყურე...“ ან „უბრალო ლექსიც ფიქრში შედევრად, რომ მოჩანს ყველა პოეტმა იცის...“

ნატიფი პერიფრაზებით გამოხატავს პოეტი სიყვარულის ობიექტით აღტაცებას, განშორებას, სევდას, სატრფოს სიახლოვის და ტრფობისადმი თანაგრძობის სურვილს. მისთვის დამახასიათებელია ნათელი თხრობის სტილი, რომელსაც შეუძლია თვალთახედვის ცენტრში მოაქციოს საგანი. იგი მკაფიოდ გამოხატული სუბიექტური განცდის ნამდვილი ვირტუოზია:

„ყოველ წაშს შენზე ფიქრები მთუთქავს... ო, ვარსკვლავებში ვეძებ შენს მზერას... თებერვლის თევა ახურავს თუთას – და გული მყვებარ, როგორც ენდობა...“ ნიშანდობლივია ვ.ოთარაშვილის ენობრივი სტრუქტურის მრავალფეროვნება,

ვასტა ღვთისმშობლის შემოქმედებაში

ყანას სიკეთით აავსებს. ლექსში „მონაზვნები“, ავტორს ეიმედება, რომ მონაზვნობა – ქრისტეს მხედრები, სულიერების ქვაკუთხედი „რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ შემუსრავენ“ და მათი ლოცვის შენეწითაა შესაძლებელი ამ რთულ დროს გადარჩენა:

„ო, მონაზვნებო, თქვენი სიმართლით, უნდა გაკვეთოთ ბნელი, ბოროტი... და თვლისფერი სათლის სინათლით, მეორედ მოსვლის უძლებთ მოლოდინს...“

ჯვარი ქრისტესი უმთავრესი სინამდვილე და კაცობრიობის გამოსწის მოწმობა, საერთო საკაცობრიო თვალსაზრისით ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოა. სწორედ ქრისტეს მიერ გაღებულმა მსხვერპლმა აგვიყვანა ზეცაში და დაკარგული დიდება დაგვიბრუნა. ეს მსხვერპლშენიერვა აღსრულდა ჯვარზე, ამიტომაც ჯვარი და წმინდა ხატები ავტორის აზრით, გვაზიარებს ღვთიურ, ზეციურ მადლს („საკვირველია ჯვარი და ჯვარცმა“): „საკვირველია ჯვარი და ჯვარცმა, ცად ამალელების იდუმალება...“

საქართველოს ბუნებასავით მრავალფეროვანია ვაჟა ოთარშვილის პოეზია, ხან ცად აზიდული მყინვარწვერივით დინჯი და მეოცნებე, ხან მტკვარივით მოდუღუნე, ხანაც შავ ზღვასავით ბოხოქარი...

სამშობლოს სიყვარულს პოეტი არათუ ლოზუნგებით საგაღმებლო მონოდებებით გამოხატავს, არამედ უბრალოდ სტიკია მამული და ხმამაღლა ამბობს მისი ხალხის სატიკვარს, როგორც ნამდვილი ჭეშმარიტი მამულიშვილი და ერის ჭირ-ვარამის გულშემატიკვარი და გამზიარებელი. ის მართალია, ნათლად და ზუსტად გადმოსცემს თავის წუხილს, მაგრამ ზოგჯერ გადაკვირითა და მიწინებებით უფრო მეტად აღწევს სათქმელს: „ქართველები ერთი კონა ია ვართ, ვერ გაგვიდეს ისპაჰანის ბაზარზე...“

„სიმართლეს ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ ცოტა დამცველი...“ – ამბობს პლატონი. ვაჟა ოთარშვილი სიმართლის მომხრეც არის და დამცველიც. მას ენანება ყოველი გოჯი ივერიისა დასაკარგად, რომელიც ჩვენს წინაპრებს სისხლით და ჯაფით მოუტანიათ ჩვენამდე („ვედრება“):

„არასდროს გავცეცულვარ წინაპართა მიწიდან... ვიყავ ბედით ეული, მიღწინდა თუ მიჭირდა...“

მისი ლექსები მისივე სულის ამოძახილია. ავტორი შეგვახსენებს, რომ ისტორია მორადება, რა მნიშვნელობა აქვს როგორ გაიყიდება საქართველო, ან რომელი ეპოქაში, მთავარია წინ აღვუდგეთ ყველა იმ პროცესს, რომელიც დამანგრეველია ერის ერთიანობისთვის („ქართველები“):



სამშობლოსთვის გულანთებული ეროვნული გმირის ტრავიკული პედის ისტორიას: „მიდი და სცადე! შენც განირე შენი ყმანვილი, თან მტრის ბანაკში იბოხოქრეთ ხუთიოდ კაც-მა...“

გულის სიღრმემდე სწვდება საოცარი ლექსი „პაატა სააკაძის მონოლოგი“, სადაც აღწერილია ჭაბუკი ქართველი ვაჟკაცის სულიერი განცდები და თავდადება სამშობლოს სამსახურისათვის, რომელიც შაჰ-აბასის კარზე მძევლად იმყოფებოდა ირანში:

„ოღონდ ქართველი ერი გადარჩეს, მეტი ამქვეყნად არა მინდა რა... დედა ღვთისმშობელს ვეტყვი დანარჩენს, არ შემრაცხავენ თუმცა წმინდანად...“

არადა, პოეტი სწორედ პაატა სააკაძის წმინდანად შერაცხვას ითხოვს ამ ლექსით.

დღეს, როცა ეროვნული ნიჰილიზმი და ლიბერალური ღირებულებები ასე შემოიჭრა და პატრიოტული სულისკეთების კრიტიკაა განაღებული, საჭიროა მთელი ძალისხმევით ბრძოლა ქვეყნის სადარაჯოზე და როგორც ლექსში „გენური მოზაიკა“ წერს ავტორი, მის სულში ფრესკებად იხატება მამულის კეთილდღეობისთვის დღენიდაგ ზრუნვა და ფიქრი...

როდესაც ცდილობ პოეტის შემოქმედებაში გამოკვეთო სასიყვარულო თემატიკის სიღრმეების თავისებურებანი, სასურველია თავდაპირველად ჩასწვდეს, ავტორის სულის გამოხატულების ძირითად ასპექტებს და ლექსების შინაარსს, რომელიც ერთგვარი გასაღებია ზოგადად შემოქმედის შინაგანი სამყაროს აღსაქმელად. ყველა პოეტი თავი-

ვარს შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „მე შეხვედრები მქონდა მრავალი, ბოლოს კი მანც ვრჩებოდი მარტო...“ და ბოჰემური ცხოვრების მიღმა, იგი მუდამ ეძიებს ჭეშმარიტ, ამაღლებულ, წრფელი გრძობებით ნასაზღვრებ უსაზღვრო, უნაპირო სიყვარულს...

„ქარი და ღამე უკვე ლექსია...“ – წერს პოეტი. მისთვის სახასიათოა სწრაფვა, მიიტანოს სათქმელი მკითხველთან ისე, რომ ზოგან გაზაფხულის სისასივით ნაზი რითმებით, ზოგან კი მწველი ცეცხლოვანი ხატსახეებით გადმოსცეს გრძობების სიუხვე:

„ღამეა... დარდი ფუთფუთებს გულში და სიზმრებს ქსოვენ ეჭვის დაფები... რად მჩვენება წყარო პიროქუში, ჩემი ბავებით დანაწაფები...“

თავდავიწყებით მიყვარს ეს წყარო... ჩემი მხსნელია ...ის არ გამწირავს... სიყვარულისთვის უნდა ვენაშო, რადგან ამ გრძობამ გამაარწივა...“

ვაჟა ოთარშვილის პოეზიაში ვერ იპოვით იოტისოდენა სიყალბეს, აქ ყველაზე უინტიმესი შეგრძნებებიც კი გულწრფელი სიფაქიზითაა დახატული. პოეტის სამიჯნური პოეზიის არსის გაგება შეიძლება მისივე სიტყვებით გადმოვცეთ: „ისე ლამაზად უნდა მიყვარდე, რომ დამენაროს ვარდის მოწყვეტა...“

იგი სიყვარულის ისტორიას გვიყვება თემატიკური სპექტრის იდეური მრავალფეროვნებით, რომელშიც გადმოცემულია ავტორის პირადი მისწრაფება, განცდა, შთაბეჭდილება...რაც ცხოვრებისეული მოვლენებისაგან იღებს სათავეს. მაგ. ლექსში „მელაპარაკე“,

საკუთარ სულში ჩაღრმავება, თვითგამოხატვის განსაკუთრებულობა, ლექსის ვერსიფიკაციის ჰარმონიული წყობა, სოფლის თემატიკა, მშობლიური კუთხის სიყვარული („სოფელი ხოვლე“, „სასაფლაოზე კასპში“, „თემის ნაპირას ვინცებთ ხეტილს“...). აგრეთვე, ელეგიური, ფილოსოფიური გააზრება ცხოვრებისეული მომენტებისა და საგნების არსისა, მრავლად მოიპოვება მის პოეზიაში, სადაც საინტერესოდაა გადმოცემული ავტორისეული მსოფლმხედველობა, იდეები და შეხედულებები სამყაროზე, მასში ადამიანის ადგილზე, საგნებზე (მაგ. ლექსები: „მგლის გემი“, „ალყა“, „ძველები წვიმამში“, „ჯიხვი“, „ნალი“, „ქარბორბალა“, „ზებრა“, „ტრანსპლანტაცია“, „წერილი“ და სხვ.).

ამინდის აღწერა – განწყობის გადმოსაცემად, ბუნების განსულიერება აღქმული პირადი განცდების ფონზე – მხატვრული ხერხების სიუხვით არის წარმოდგენილი, („შემოდგომის ქარები“):

„ხეები თითქოს იწერდნენ პირჯვარს, ტოტებს შლიდნენ და მიჰქონდათ გულთან...“

მთოვარე ღრუბლის საკანში იჯდა, მთების გადაღმა გადასვლა სურდა... ავაზის ფერი დაჰკრავდა ღამეს და ცახცახებდა ჩრდილი გუმბათის... და ეკლესიის სარკმლიდან ქარებს გაჰქონდათ სათლის ალთა სურათი...“

იცვლებია საუკუნეები, ხელისუფალნი... ხუნდება ყოველი ფერი, რაც არ არის ჭეშმარიტი ადამიანური გრძობებით ნასაზღვრები და არასოდეს შეიცვლება ის ძვირფასი ღირებულებანი, როგორცაა სამშობლოს ერთგულების გააზრება, სიყვარულის აღმაფრენით ტკობა, მოყვასისადმი თავდადება, ბოროტისა და სიკეთისათვის ნამდვილი სახელის დარქმევა... რაც მარგალიტებად არის გაბნეული ვაჟა ოთარშვილის პოეზიაში და ერთად აკინძული საოცარ სურათს ქმნის, მისი ოსტატური კალმითა და მახვილგონიერებით შეზავებული, რითმებით მოგვიწოდებული და პოეტურ ბაზილიკებად ამოხიდიულნი...

ჩემის მხრიდან, იმედია, კადნიერებაში არ ჩამეთვლება, საკუთარი ლექსის მიძღვნა ვაჟა ოთარშვილისადმი, რომელიც მისი პოეზიისა და შემოქმედების გაცნობის შემდეგ შეიქმნა:

„კვლავ ბოხოქრობს ივერიის უძღველი სარდალი, თუმცა ახლა კალმით კვითავს მტერს და ორგულ მომხდურებს... დღეს, გიორგი სააკაძის შენ ხარ მართლა სადარი და ქართული სიტყვით იცავ კლდემალას ქონგურებს...“

ჯავახი, როდესაც ფულის მოსაგებად შორს სადმე არის წასული, მაშინ შინ მოსვლას არა ურჩევნია-რა, თუნდაც თვალ-მარგალიტით იხიშვებოდეს იქა. იმისთვის ერთადერთი ნუგეშია, როდესაც ის თავის ოჯახობაში გახურებულ თორწისთან ხმელა კაკალა პურს გარხნიდეს. სწორედ ბედნიერად სთვლის ის მაშინ თავსა და აკი ღმერთიც არ აკლებს მათ ასეთ ბედნიერ ცხოვრებას!..

ამიტომაცაა, რომ ხიზაბაგრელები არ ზოგავენ თავს უსარგებლო შრომისთვის და მიჰყავდათ ორი ან სამი ძალი გასასყიდათ; მოვილიან ბაღდათს, სვირს, ხორაგაულს, ჭიათურას და ქუთაისს. აიღებენ ამ ძაღლებში ხუთს ან ექვს მანეთს ორი-სამი კვირის განმავლობაში. აქედან 2-3 მან. გზის ხარჯათ, რკინის გზებით და საქმელ-სასმელში დახარჯავენ და ოჯახობაში კი ერთს ან ორ მანეთს მოიტანენ დიდის სიჩქარით თავის ცოლშვილში.

ბარაქალა თქვენს ვაჭრობას ხიზაბაგრელები ჯავახნი!

ჯავახი გონებრივად დიდ სიბნელეში იმყოფება. სწავლისა მას არც თუ არაფერი არ სცხია რა, არამედ აინუნშიაც კი არ მოსდის იგი... ამიტომაც აქ ნასწავლნი მცირენი არიან და თუ ათას მცხოვრებთა შორის 7-8 სკოლას ვხედავთ, ისიც ყველა ძალდატანებით დაარსებულია, ზოგი მთავრობის და ზოგიც კი იქ მოსამსახურე სხვა ნასწავლ პროვინციელის მეოხებით, რომელნიც ასეთ ხალხთა შორის მსახურობენ და შესტკვიათ მათთვის გული.

სწავლას აქ ვინმე მიიღებს თუ არა, ეს სულ ერთია. რადგანაც არც უსწავლობით იბრკოლებენ რასმეს... საპატიო სტუმარს ჯავახი იღებს იქ, სადაც ბევრი ხარ-კამეჩი და ძროხა უბია, იმ ერთადერთს მხოლოდ ძელებით გადამკედლილს ოთახში, რომელსაც „ოდას“ ეძახიან. იმ სასტუმრო ოთახს შესანიშნავად ათბობს იმოდენი საქონლისაგან დაფუხული, რომელსაც ასდის თბილ-თბილი ბოლი, რის გამო, სტუმარნი ამორებულ არიან ჯავახეთის ცივ-ცივიანს ზამთრისაგან დაციებისა, რითაც მასპინძელნი სირცხვილითგანაც ამოჰყავს სტუმრის წინაშე ამ ცხელი ფუნით... ხოლო ზაფხულში კი, საქონელს აღარ აბმენ სახლში და გაჰყავთ კარში...

თეთრ წვერა მოხუცს ჯავახს დიდი გავლენა აქვს ყველასთან და ყოველიფერში და მასთან დიდი პატივისცემაც. ადგომ-დაჯდომში და სხვა ჭამაში პირველი თავაზიანობა და შეთავაზება მხოლოდ მათ ეძლევათ. სასოფლო საქმეებშიაც კი არ გავრევიან ისინი, ამით გადაუვალს არას იზმენ-რა. ყველა ახალგაზრდა ამ მოხუცთა მორჩილებაში სუფევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სმირად ჯოხსაც კი გადაუტყუებენ დანაშაულთა.

— ჯავახი დიდი მუშაა. ადგილობრივ თვალ-უნევენს მინდორს (რაცა ტყეს და ბაღს სრულებით მოკლებულია), იგი გუთნავს



დიდი ღონის მყრელ შვიდ უღელად ოთხ მეხრიან ხარ-კამეჩითა და ბელტს-ბელტით აბრუნებს შავათ გაკუნაბეტებულს ყამირს მიწასა. სთესს ქერ-დიკასა; სთიბავს და ლენავს მას, რომლის მეტს საქმეს დიდათ სხვასაც აღარას აკეთებს-რას, გარდა საქონლის მოშენებისა. ის დალოცვილი მიწაც ისე არ გათახსირდება და გაძუნდება, რომ ერთი ოცათ და ორმოცათ მაინც არ მოვიდეს. ტყულადაც არ თქმულა:

„მე ჯავახები რა მიხვდა, მთვარე იდგა მხვსავითა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ზღესავითა!“

როდესაც ჯავახები პირველად მიდიოდნენ მგზავრათ მახლობელ მეზობელ პროვინციებში და ხედავდნენ ხილს, უკვირდათ... ერთხელ ერთმა ჯავახმა რა ნახა ხიზაბაგრის ვენახებში პირველად ნივგზის ხე, რომელსაც საუცხოვოთ ვეფრი ეხსა, ჯოხით ჩამოაგდებია უცნობა ჯავახში, რომელსაც გეპლი ეგონა და ვაკიძია. რა გაშანთა და გამოწვა ნენგომ პირი, — უმნიფარი ეგონა. გამოყარა საჩქაროთ პირიდან დამშხამელი ნენგო და თქვა: კიდევ კუხე ყოფილაო და დაანვა მტკვარს პირის გამოსარეცხად, რომელიც იქავე, გზის პირად, მიუზღაზნებოდა მიმოდ.

„ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო“. ეს სწორედ ზედ გამოჭრით ჯავახ ქალებზედ ითქმის, რომელნიც თავიანთ ქმრებს გვერდში უდგანან ქედ მოხრილი და თანაბარს უღელს უწევენ ყანა-ჭალაში. მიუხედავად ამისა, ამ უღელური დედა არსების საქმეა

ყოველ დილას 20-30 სული საქონლის ღამით დაფუხულს გარეთ ხერძობით ზიდა, ერთ ვერსზე კოკებით წყლის ზიდა, კრავების ძოვება, წისქვილში ვირებით სიარული საფქვავზე, თონების გახურება და ცხობა პურისა, სასმელ-საჭმლის მომზადება, სახლ-კარის ხვეტა-წმენდა, თავიანთებური ჭრა-კერვა და წინდა-შაღების ქსოვა და სხვა, რასაც ყველა ამ საქმეში დარჩობილს ქალს აგვირგვინებს მისი პატრონი მითი, რომ ფეხშიშველასაც ატარებს, მერმე და იქაურს ისეც ცივს და სუსხსან თოვლიანს ზამთარში, რომელნიც დედიშობილ შიშველ ფეხებით დაიარებიან თვით ახალი ნალოვინევი ქალები, რომელთაც სწორედ სასწაულით ღმერთი ინახავს იმ ნალოვინევეთ და არა ემიზეზებათ-რა ფეხშიშველობითა და წინააღმდეგ კი ყოჩაღათ არიან. ცოლნი თვისნი ქმართა დემორჩილენით, ეს მცნება მათ დაუვიწყებლად აქვთ ქმრების წინაშე. ცემა, ტყემა, გინება და ლანძღვა ზედ მეტათ ბევრათ უნდა აიტანოს საცოდავმა სასაქმომო მომკვდევმა ჯავახმა მანდილოსანმა თავიანთ მხეცი ქმრებისაგან. რაცა ყველა ეს, თვით შეუღლებსავე ედებათ მათ პირობასავით, მაგ., როცა ნეფს დედოფალს ჩაბა-



სარკე ჯავახთა ცხოვრების, ანუ მათი დასასიათება და რეაქციური მოქმედებით

რებენ, ნეფემ ფეხი ეფხს უნდა შემოჰხვიოს, ან დაადგას დედოფალს, რაცა ნიშნავს ყმობასა და მორჩილობას. და ყველა ეს შენუხება რომ უნდა უხმით გადაიტანოს, ე.ი. ხმა არ უნდა ამოიღოს არა რა ქმრის შევიწროებაზე. ესეც პირობა ქორწილშივე იდება: დედოფალს ლავას მიაფენენ პირზე და სატვერით გაჭრიან პატარა ნეფრსა, რაცა ენის მოჭრას ნიშნავს, რომ ენანი არ გამოვიდესო და გაჭირვებაშიც ენა არ იხმაროს სალაპარაკოთაო.

საზოგადოთ ქალებში ამიყობა ხდება ახალგაზრდა ყმანვილ ქალთა და ვაჟთა შორის: ბულვარებში, თეატრებში და სხვადასხვა გასართობებში და სეირნობაში, ე.ი. მოცლილ სხვადასხვა გასართობებში და სეირნობაში, ე.ი. მოცლილ დროზე, მარა ჯავახეთში კი კვირა-უქმის გარდა, ე.ი. უსაქმობის დროს გარდა, თვით სასაქმომოც კი უკეთ ხერხდება ამიყობა და ხელოვნურათაც ყანაში მუშაობაში, კრავების ძოვებაში, წყლის მოჭრის დროს და სხ. ჩვენ დავახსიათოთ ამითგან ერთ-ერთი, ე.ი. უკანასკნელი, წყლის მოჭრის დროს ამიყობა. მაგ. ყმანვილ ქალს, რომელსაც უყვარს ვინმე და წყლის კოკებით გაუარს მას თვით ხალხშიაც კი თავის სატრფოს, ის მასთან მიახლოების დროს აუჩქარებს სიარულს მაგრად და ბავაზუგის (ფეხის ხმით) გავლით, როდესაც ის თან მაგრად აქნევს კურტუმოსაც. ამას რა შენიშნავს მისი თვალყურის მადევენებელი სატრფო, ვაჟი დიდის სიამოვნებით მიახმაურებს ხმა-დაბლა, ისე, რომ თავის მიჯნურს გააგონოს: აი, შენ გენაცვა, რა მაგრათ აქანებს ტრაკს. თუნდა ქმრიანი იყოს და უყვარს კი, თუ იქ მის მეტი სხვა არაფერ არის, მიუღიღინებს კიდევ:

„ქალი ნავიდა წყალზედა, თან გავაყალე თვალიო; აავსო კოკა, კუტალი, შიგ გაუყარა თმანიო. ნამოკიდა წარბ შერქმით აემღერა თვალნი წყნარიო, მოდის და მოიწყევლება: ღმერთო, მომიკალ ქმარიო. არ გამოკეთა საკიდი, დამანყვეტინა თმანიო“...

სიყვარული ჯავახეთში თუმცა ფარულია, მარა გამკვეით და ხანგრძლივია. ამიტომაც შეყვარებულნი სულის ახდენამდის მტკიცეთ უშუშთ და ცხოვრობენ სიყვარულის სიტკბოებაში.

ჯავახი დიდი სულგრძელია თავის ჭირის შენუხებაში. იგი დიდი გულმოდგინებით ითმენს და არ უზიარებს სხვას არას დროს წამლის დასაღებათ.

ახალგაზრდა ჯავახი (სქესთა განურჩევლად) თუ იცვამს ახალს და ლამაზს ტანსაცმელს მოსახდენათ, თვარა ხანში შესულინი კი მხოლოდ იმიტომ იცმენ, რომ სიშიშველ დაიფარონ.

ჯავახს აქვს თუ არა (ფული), სულ ერთნაირათა ცხოვრობს, აქვს და ბევრსაც არა ხარჯავს ცხოვრებაში; არ აქვს და არც დიდათ საჭიროებს უქელოლობას და მითივე კმაყოფილია; ამიტომაცაა, რომ ჯავახეთში ვალი და ვაზში ისე არაა გავრცელებული, როგორც ეს გურია-სამეგრელოშია, რითაც იხრჩობიან მკვიდრნი უზომო ვალ-ვახში.

ძველთაგანვე ჯავახთ საქართველოს მტრების დევნულობისა გამო შენუხებულთ აჩნევიათ სახეზე დაჩაგრულობა, უნიშნაწყლობა, დარდი, უიმედობა და სასონარკვეთილება, რაცა ყველა ეს ინსტიტუტური სენისამებრ გადმოსდობიათ ახალი ძველი თაობადგან და წარსულის მონუმბის მონდა ამით დანაოჭებულ

სახეზე დასწერებით ეს, რაცა აიძულებს ყოველივე გაჭირვებას ძალა-უნებურათ გადატანობა და მოთმენობა. და ამიტომაცაა, რომ ჯავახნი თვით მემამულეებს ცხვრულებ ეუბნებიან და არაფითარს წინააღმდეგობას და წყენას არ უწევენ; პირიქით, ვირსავით მათი ბებრებისგან ცემა-ტყეპას სულგრძელობით ითმენენ თვით სისაწყლესიდაჩაგრულებაში.

ჯავახეთში მრავალი ზეპირსიტყვიერებაა, რომელიც მცოდნეთა შორის ბევრი მოშიარე-მელექსეა და სიტყვა მოსწრებულ-ცა.

1). ბიჭო, ხუციანთ პეტე, სიტყვა რაზედ გადმიკეტე ვინც ამაღამ ერდოზეა, ადი ყველა დამიპე!
— უთხრა პასუხათ ხიზაბაგრელმა კაკო ზაქარამ ხუციანთ (კოჭათ) პეტეს, რომელიც ისიც მოშიარე იყო და იმისთანა შიარი უთხრა, რომ ზაქრო დააბა. და ბოლოს უკანასკნელმა კი მავ სიტყვებით დააბოლოვა, რაცა ეს გახალხურებულა კიდევ მთელ ჯავახეთში.

2). ბიჭო, შენზედ ჯვარს ხომ არ ვინერ, რომ მუხლზედ დამაჯექი, იქით გაიჩორე ერთი პატარაო, უთხრა ტიდეფომ, როდესაც ივანე მანანაძე ადგილის სივინროში აუარებელი ხალხის გამო უკანასკნელი პირველს მუხლზე დასჯდომოდა, მარა ივანემ კი შემდეგი სიტყვით მოასწრა: ჰაამ აჯა, მეც გიკადრე და შენც გამინაზდი რალ!

ჯავახეთში პაგონოვანთ და კაკარტოვანთ დიდი მიღება აქვთ და მათი შიში აქვთ... ასეთი, რომ მათ ფეხის ნაკველესაც კი ერიდებიან, — ფეხი არ მოახედრონ და არ შეჰბილწონ. მამასახლისისაც (რომელსაც გალავს ეძახიან და მამასახლისის კი — მის ნაცვალს) ისევე ეშინიანთ და მოურავებისაც. თუ ამათგანმა რომელიმე გალავსა, გალავსი სარქართო კიდევ მიუშვერს მეორე გვერდს და აცემინებს თავს, სანამდინ დაცხრებოდეს გაჯავრებისაგან გამალაველი.

ჯავახი დიდი მასპინძელი იქნება, თუ რომ ქორწილში წვეულთ მარილ-წყალში მოხარშული კართოფილ დაყრილი ხორცი, ან და ყველი, პური, ცოტა მწვადი ოტკითურთ მიართვა.

ჯავახი ღვთის მადეგრებელი და მლოცველი ხალხია. ის ბოროტებას შორს უდგა, რადგან ღვთის მოშია; ამიტომაცაა, რომ აქ ქურდობას და მისთანა ავ-კაცობას ადგილი იმოდენათ არ უჭირავს და კაცის კვლაც ხომ იშვიათი მოვლენაა.

თუ კი ხდება ეს უკანასკნელი, ისიც არა ქართველთა, ე.ი. თარაქამათა შორის.

უზრდელობას ჯავახეთში დიდი ადგილი არ უჭირავს, ხოლო ღვთის სიყვარულს კი დიდი უჭირავს.

ჯავახი ქალის შერთვის დროს არ არჩევს ლამაზს და მახინჯსა. მისთვის სულ ერთია ეს, ხოლო შესართავი ქალი იყოს.

გულადობაში ჯავახი დედაკაცი ბევრათ სჯობია მამაკაცსა და ბევრათ მძლავრიც არის. ყოველივე მეზობელთა შორის ატეხილ ჩხუბში დედაკაცი უფრო იღებენ ხელში კეტებასა და ყოჩაღათ უფრენენ თავს მათ მონიხაღმდეგეებს.

ჯავახეთის საათი მამალია. როდესაც მიდიან სადმე შორს მგზავრათ საბაროებით (ურმით) მამალიც თან მიჰყავთ, რის საშვალებით იგებენ ღამეს, გათენების ხანს, შუალამეს და მგზავრობის დროს.

ჯავახის ოჯახობა დიდი ხიზანისაგან, 10-



მატიანი



ზვიად გამსახურდია ბორჯომში. გასული საუკუნის 90-იანი წლები. სურათი მოგვანოდა ვალერიან ლომიძე

ზურაბ ბერიძე

აჭრელი

შემოგვეჩვიე თბილო აპრილო,
შეზე, ცვარ-ნამით რა მდელი დგება,
შენი სითბოთი გამდნარ ნამქერის
ბარში ყვავილიც წყალს ელოდება,

გაზაფხულია, ადიდა მტკვარიც,
ფესვი გაუჯდა, მორწყო ჭადარი,
აქ ხომ გაზაფხულს სულ სხვა ხიბლი აქვს,
აქ ყველაფერი არის სხვაგვარი.

ოშორულამაც მხრები გაშალა,
გაცოცხლდა მისი წყნარი ნაპირი,
აქ ლამაზია მარტი ჭრელ-კაბა,
ათქვირებული თეთრი აპრილი.



ჩამოინრია მთის ფერდობები,
ხევში იპოვა თავის ადგილი,
ვინც გაზაფხულს იცის სურნელი,
უნდა შეიგრძნოს ჩვენთან აპრილი.

ამწვანებულ ვაიოს ველი,
მზის სხივს დაეძებს ვაზი ჩაყრილი,
ეს ხომ თამარის თეთრი რაშია,
ვარძიის კლდესთან ფაფარაყრილი.

პატარადალივით მოჩანს რუსთავი,
შოთას სამშობლო ცაში აჭრელი,
აქ გაზაფხული თავს დამაინყებს,
ატმისფერა და თეთრი აპრილი...

თოქტონი

ოხრმა წუთისოფელმა
არ იცის სამართალია,
ქვრივობის არ გაახარებს,
ბატონისკენ აქვს თვალა,
შეგხედამს, არ მოუნონე,
უმალ გიჩვენოს ბრწყალია,
კაცი და წუთისოფელი
მაინც ცალ-ცალკე ბრალია!

მნათემ დარეკა ზარები,
მთელ ხალხმა გაიგონოსო,
დიდინა-პატარაიანად
სულ ყველა შეიყაროსო.
ბიჭი ანტუშა თათრითგან
დაბრუნდა, გაიხაროსო.
შემოაჭენა ვაჟკაცმა
ყორანა – თავის ცხენია,

სოფლისა გამხარებლისა
ლვითური მადლი ჰფენია.

სიკვდილო, ოხერ-ტილო,
არა გაქვს ჭკუა-გონება,
შეარჩეე ყმანვილკაცებსა,
ქალ-რძალიც მოგენონება,
მარა, იცოდე – ვაჟკაცი
აროდეს დაგემონება,
მამ, რაღად ერჩი სიცოცხლეს,
თავი მიეცი ღონებას.

ქორწილში, შებინდებისას,
ბიჭები გროვდებიანო,
სულ დარჩეული ყმანვილინ
ოჯახში თავს იყრიანო.
ყანებსა ღვინით ივსებენ,

დიდ სუფრას გაიშლიანო,
თამადას თავში დასვამენ,
– გაგვიძებ, შე, მადლიანო!
ლამაზი ქალებიც მოვლენ,
ლეკურსა დაუვლიანო,
მკლავებს გაშლიან –
ფერულსა,
ნანავეებს გადიყრიანო,
გიშრისა თვალებს ვაჟები
მლო-მალ შესქეყრიანო,
მესხური ღვინი გაჩაღდა –
არავინ დააგვიანო!

სიკვდილის საქმე ვინ იცის,
ან მისი სამართალია?
ვითომ დაეძებს მოხუცებს,
ცრემლებით დამათვრალია,
სულ ნარჩეე ყმანვილთ წაიყვანს,

გაუმადარი არია,
ბიჭებს ჩამოჰყრის უღვაშსა,
ქალს დაუკეტამს კარია.

სათათრეთს გადავვარდები
ჩემი ყორანა ცხენითა,
ურჯულთ შემოვეყრები,
დავეძგერები ხელითა,
არ მემინია თათრების,
კიდევ ვჯობივარ ბევრითა,
მუდამ მაქვს უფლის იმედი
აი, ვცხონდები მე – რითა.

სიკვდილმა დაიტრახა:
– არ ვიზამ საქმეს ღვთისასა,
სოფელ-ქვეყანას ავიკლებ,
სისხლს დავლევ ახლებისასა,

წყეულო, შავი სიკვდილო,
ფეხი არ დასდგა ჩვენსასა,
თორემ, იცოდე, განანებ,
ჯავრს არ შეგარჩენ ყმისასა!

ვაჟკაცო, ოში გაზრდილო,
სამშობლო გავიზაროთ,
არდაგანს თათრებს დავეცეთ,
ურჯულთ დაგაზიანოთ.
მხარი მხარს მივცეთ
ერთმანეთს,
ფარ-ხმალი ავახმიანოთ,
შინ გამარჯვებით
დავბრუნდეთ,
ღვთისა არ დაგავიანოთ.
ქორწილიცა ვქნათ, მაყრები
გამღეროთ, ავალრილოთ,
ნისქვილს საფქვავე წავილოთ,

დოლაბი ავახრილოთ.
ქალ-რძალმა ფურნე ანთონ,
ცეცხლშიც ავახრილოთ,
ქადა-ნაზუქი დაგვიცხონ,
ვარია დაატრილონ,
იმღერონ მესხური ნანა,
ყმანვილინ დააფრთიანონ!

ერდოს მამალი შეხტება,
გამოუდგები ჯოხითა,
ღვინის სმამი თუ მავობებთ,
თავს ჩამოვიხრჩობ თოკითა.

*მთქმელი ქეთო ჩილინბარაშ-
შილი, ახალციხე, სოფ. ივლიტა,
83 წლის, ჩანკრა
სოსო გიძოშვილი 2018 წელს*

თმოგვის ციხეს თავისი შეუვალო-
ბით „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ
ქაჯეთის ციხედ აღიქვამენ მესხები.
მის კედლებთან არაერთი მომხდელი
დასამარებულა.

თმოგვის ციხე მხოლოდ ორმა
ბნელმა ძალამ დასცა – დიდმა მიწის-
ვრამ და ლალატმა, თუმცა ამ ორიდან
ერთი ისტორიული ფაქტია, მეორე კი
ლეგენდა. ლალატი ქალთანაა დაკავ-
შირებული.

მე-16 საუკუნეში თურქებმა, ლალა
ფაშას წინამძღოლობით, თმოგვს ალყა
შემოარტყეს. მოუხედავად ძალთა დიდი
უპირატესობისა, თურქებმა მაინც ვერ
გაბტესეს თმოგველთა წინააღმდეგობა.

თურქებს კი, ამ დროს, მსხველად
ციხისთავის მუღლე მოევილინა.

იმ ავებით დღეს, ციხის კოშკიდან
წინაბრძოლად, თურქი სარდლისათვის
მოუკრავს თვალი, ერთი დანახვისთანა-



ლოგენის თმოგვის ციხე

ვე შეყვარებია და ოჯახისა და ქვეყნის
ლალატი განუზრახავს.
და, აი, სიყვარულის ნიშნად, გალა-
ნიდან, ციხის გასაღები და წერილი გა-
დაუგდია...
თურქებს ციხე აუღიათ. ციხისთავს
მუღლეცა რა ცოლის ლალატი, კიდევ

ერთხელ გაუბრძოლია, ვადაში ხმაღა-
ტეხილს ცხენისთვის სისხლიანი დო-
ბანდით თვალეუ აუკრავს და პიტალო
კლდიდან არტანის მტკვარში გადამხ-
ტარა.

გამარჯვებულ თურქ მეთომრებს
მოლალატე ქალი სარდლისთვის მოუგ-

რით. ქალს ლალატის სანაცვლოდ ცო-
ლომ შეუთავაზებია მისთვის.

სარდალს წინდახედულება გა-
მოუჩენია – სათათბიროდ ერთგული
თანამებრძოლები მოუწვევია. დიდი
მსჯელობის შემდეგ ლალა ფაშას ბო-
ლოს კონკრეტული კითხვა დაუვაშას
მსახურთათვის:

– ვაჟკაცობით და სიმამაცით ვინ
იყო გამორჩეული ამ ბრძოლაში – მე თუ
თმოგველი?

– თმოგველი! – წამოუძახია ერთ
პირუთვნელ მებრძოლს, რადგან თმოგ-
ველი ლალატი დამარცხდა, თქვენ კი
ამ ლალატი გამარჯვება მოიპოვეთ.
უფრო მეტიც, თმოგველმა სამარცხი-
ვით ტყვეობას სიკვდილი არჩია!

დაფიქრდა ფაშა:

– თუკი ასეთ კაცს, ჩემზე უკეთესს
ულალატა, ხვალ, ზეგ, ჩემზე ძლიერი
ვინმე რომ გამოჩნდეს, განა მეც არ მი-

ლალატებო? – გაუვლია გუნებაში და
ქალის სიკვდილით დასჯა გადაუწყვე-
ტია.

ქალმა თავისივე ეშმაკობით იმავ
სალამოს შეძლო დარაჯების მოსყიდვა
და ციხიდან გაქცევა. ქალს მდევარი
დაედევნა. ბერთყანასთან, ქარაფოვა-
ნი კლდის თავზე შეიპყრეს. მოლალატე
მხოლოდ სიკვდილის წინ მიხვდა თავის
დანაშაულს და ესლა აღმოხდა: „მოლა-
ლატე ვარ, ოჯახის, ქვეყნის წინაშე,
გთხოვთ, გვედრებით, დამკალითო!“

იმ ადგილისათვის კი, სადაც ქალი
მოუკლავთ, „დამკალი“ დაურქმევიათ,
ხოლო, მოგვიანებით, აქ პატარა სოფე-
ლი – „დამკალი“ გაჩენილა.

დღეს სოფელი გაუქმებულია. ნა-
სოფლარში დგას ნახევრადანგრეული
მე-10 საუკუნის დარბაზული ეკლესია.

როპერტ ბერიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ღამუხანაზი:

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთის რედაქცია სარგებ-
ლობს თავისუფალი პრესის
პრინციპებით და ავტორის
მოსაზრებებსა და გამოხატეა-
მებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15
ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული
უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე,
ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს.
„საარის“ სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი,
თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.shti@il.co
lit_meskheti@yahoo.com